

F 24
1888



მ ე ბ რ ი

საყოველ-კვირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1888 წელსა

№ 33

ენერეტიკის 23.

გაზეთი ღირს: ერთის წლ. 5 გ.,
ნახევ. წლ. 3 გ., ცალკე № 15 გ.
ს ე ღის მოწერა მიმდევ გა:
თბილისში, რედაქციის კანტორაში.
ფოთში სესარიონ გალანდაქეთან.
ადრესი გარეშე მცხოვრებთათვის:
თიფლის, ვხ რედაქციი გაზეთი
“TEATRЪ”. გაზეთი ისე იდე
ბა: თბილისში, ჩარქვიანის წიგ-
ნის მაღაზიაში: და პ. ხ ჩიდედებელ-
თან—გოლოვინის პრეცესტშე.

საგაზეთოდ დანიშნული წერი-
ლები (კორრესპონდენცია) გარემ-
გონ უნდა იყოს დაწერილი. თუ სა-
ჭიროება მოითხოვს წერილებს რე-
დაქცია უკასტორებს. რედაქცია არა
გისრულობს წერილების უან გაგ-
ზავნას და მათ უკასტო მიწერ-
მოწერას.

უკვე წერილში უნდა იყოს
მოხსენებული: სახელი, გვარი და
საცხოვრებელი ადგილი დამწერისა

66

თეატრი იაპონიაში

ერთმა იაპონელმა, სახელად იედიკიმ, დაბეჭდა ერცელი
წერილი იაპონელების თეატრის შესახებ. მოგვყაეს ზოგიერთი
აზრები ამ წერილიდამ.

„არ არის არც ერთი დროს გატარება, ამბობს აეტორი,
რომელიც მოკლებული იყოს ჩვენი ხალხს თანაგრძნო-
ბას, მაგრამ უკელაზე უფრო მეტ თანაგრძნობას და ხალხის
სიყვარულს ჩვენი თეატრი იწვევს. იმ დღეს, რა დღე-
საც „ტოკიობი“ წარმოდგენაა დანიშნული— „ხინატონიცას“.
გარშემო (იაპონელების უდიდესი და შესანიშნავი თეატრია)
დიდი მოძრაობა და მღელვარებაა. თეატრის შენობის წინ
იკრიუება და-ძალი ხალხი, რომელიც, როგორც ქალაქის,
აგრეთვე ახლო-მახლო სოფლების წარმომადგენლებიდგან შე-
სდეგბა. უკელა მორთულ-მოკაზმული და გახარებულია; ქა-
ლები განიერ აბრეშუმის კაბებით ჩქარის ნაბიჯით დადიან
ხალხში. აგრე გამოჩნდნენ „ჯენერიქშები“ (ჩვენი ეტლების
მსგავსი, რომელიც მით განსხვავდება, რომ, ცხენების მაგიერ,

კაცებს მოჰყავთ მოძრაობაში), რომელებმაც მოიყვანეს უკანასწინებლი, დაგვიანებული მაყურებლები. თეატრის კარებები ღიაა. შესელისთანავე უკელა სათითაოდ იხდის თავის ხის ფეხსაცმელს, რომელსაც უტოვებს ცალკე, ამისთვის მომზადებულ განყოფილებაში, მდგომ მოსამსახურეებს. თეატრში ფეხსაცმელის გარდა მის-თვის არის შემოღებული, რომ ხის ფეხ-საცმელმა ხმაურობა არ მოახდინოს და მით არ დაუშალოს მაყურებლებს აქტიორების სიტყვის გარკვევით გაგონება. თეატრის დარბაზი 3000 მაყუ-რებლებზედ მეტს იტენს. თეატრის შინაგანი მოწყობილობა და მორთულობა ძლიერ უბრალოა: სწორი იატაკი გაყოფილია თხელი აგურის კედლებით მრავალ თანასწორ ნაწილებად, რომ-ლებშიაც სხედინ მაყურებლები. თათო განყოფილებაში ოთხ-ოთხი მაყურებელი ზის ფეხ მოკეცილი. აგრეთვე უბრალო და თავისებურია სცენის მოწყობილება. თეით სცენა იატაკზე ცოტა მაღალია და ტრიალებს ერთი ბაზის გარშემო. ის სცე-ნის ნაწილი, რომელზედაც წარმოდგენა მიიღის, სანამ წარმოდ-გესა დაიწყებოდეს, დაფარულია ფარდით. როდესაც საჭიროა დეკორაციის გამოცელა მთელი სცენა მოტრიალდება სანამ და-ფარული მხარე, სცენისა არ გამოჩნდება, რომელზედაც ახალი დეკორაციებია გამართული. კულისები იაპონელების თეატრში არ არის. კულისების მაგარად ორი ფართო გასახალია, რომელიც გადის სცენის უკანა ნაწილისკენ; ამ უკანა სცენის ნაწილში მა-ლულად ჰყავთ ხოლმე მონადირები, ცხენები, სხვა და სხვა შეცები, რომლებიც, თუ საჭიროება მოითხოვს, გამოჩნდებიან სცენაზედ ფარდის გაწევის შემდეგ. მაყურებლებს შორის დიდი სიჩუმე და დუმილია. საზოგადოება იმასევ ჰგრძნობს და იმავე აღელვებაშია, როგორც თეით აქტიორები. ჩო-დესაც რომელიმე ადგილი პიესისა, ანუ თამაში აქტიორისა მოეწონებათ, დაიწყებენ ძახილს: „ოტოოვაი! ნარიტაი!“ და 3000 კაცი, რომელიც აქამდინ სულგანაბული იჯდა, მოდის დიდ მოძრაობაში და გააქვთ ტაშის გრიალი. შემდეგ ისევ იწყე-ბა დიდი დუმილი და სიჩუმე, სანამ პიესის ახალი ადგი-ლი არ გამოიწვევს ხელმეორედ საყოველთაო აღტაცებას. სა-ზოგადოდ წარმოდგენა გაგრძელდება ხოლმე ორს, სამს და ხან

ოთხ დღესაც. წარმოდგენა იწყება დილის შეიდ საათიდან და
ხშირად ლამის თ საათამ-დინ გრძელდება ხოლმე. ანტრაქ-
ტების რიცხვი და გაგრძელება თვით პასებზედ არის დამოკი-
დებული. საზოგადოდ ანტრაქტი ერთს საათს გრძელდება ხოლ-
მე, მაგრამ ის ანტრაქტები, რომლებიც სადილის დროს მოდის
უფრო ხანგრძლივია არიან. ანტრაქტის დროს ზოგი ქუჩაში
გამოდის, ზოგი თავის ადგილას ჩეხება და იქ საუზმობს.
თეატრის გარედ შესანიშნავი სურათია. „ტრაი“-ები, ანუ
ჩაის პატარა სახლები—კოტა კარვები, რომლების გარშემოც
პატარა-პატარა მშენები ბალებია, იზიდავენ მოსეირნეებს თავის-
კენ სხვა და სხვა ლამაზად დალაგებულ საქონლით და ათას
ფეროვან მარაოებით, რომლებსაც ქარი ატრიალებს სხვა-და-სხვა
მხარეს. მოსამსახურეები მშენები არიან მორთულნი, სწო-
რედ იმ (დროს). ეპოქის კანისამოსებათ, რა ეპოქასაც თვით
პიესა ეკუთხის; გარდა ამისა, სტუმრებისაგან შეკვეთილის მი-
ტანის დროს მოსამსახურეები ცდილობენ თავიანთი მიხრა-მოხრა
მიამსგავსონ ხალხის საყდარელ აქტიორების ქცევას. ეხლანდელი
იაპონელების თეატრი განსაკუთრებით ნაცოონალურია. სამშობ-
ლო ისტორიის და ხალხის გარდმოცემების გმირები იაპონე-
ლებს დიდის ამბით გამოჰყავთ. მათი აზრები და გრძნობანი ყო-
ველთვის ამაღლებულნი არიან, საქმენი—კეთილშობილური.
იაპონელი ყოველთვის იმას თხოულობს, რომ მისი გმირები
ისე იყენენ სცენაზედ გამოყენანილნი, როგორც მას წარმოუდგე-
ნია. უმთავრესი გრძნობა იაპონელების ტრაგადიებში — შურის
ძიებაა. შურის მაძიებლად ხშირად რომელიმე მომქმედ პირთა-
განია; მაგრამ ხშირად თეით ტანჯულის სული, ან მისი მახლო-
ბელი ნათესავის სული ჩამოდის მიწაზედ დამნაშავის შურის სა-
ძიებლად. იაპონელი, ბუნებით მშეიდი და წყნარი, სცენაზედ
მეტრი და შეუბრალებელია და თხოულობს შურის ძიებას.
იაპონიაში ძლიერ ცოტა მოიპოვება ინისთანა ტრაგედიები,
რომლებშიაც არ გამოჩნდეს ხოლმე კომანდორის სტატუია;
იურეს აჩრდილის სცენაზედ გამოხენა ძლიერ უბრალო, მაგრამ
ხერხიანი მეხანიზმით სრულდება, რის წყალობითაც აქტიორს,
რომელიც აჩრდილის როლს ასრულებს, შეუძლიან იურინოს

ჰერში გრძელ, მოთეთრო ტანისამოსით. როდესაც დადგება დრო შერის ძიებისა, ანუ შერიგებისა, გამოჩნდება ხოლმე იურე და დაიძახებს თავის შემაძრწუნებელის ხმით: „ურამეზი“! მწყურიან შენი სისხლი და ხორცი და თან დააკრის საშინელ მუქარას. იურე დამნაშავეს სჯის და ყველას თავის შესაფერს მიუსაჯავს. საზოგადოება აღტაცებისაგან და ამასთანავე შიშისაგან სულგანაბულია და მხოლოდ რამდენსამე წამს შემდეგ მოდის გონს, რასაც დიდის ტაშის კერით და „ოტტოვაიას“ ძანილით ამტკიცებს.—მაგრამ რა მნიშვნელობა აქეს სიყვარულს იაპონელების ტაგედიაში?“ იკითხავს ევროპიელი მკითხველი. საფრანგეთში მარტო ორი პიესა არის, რომელშიაც სიყვარული არ შეაჯგენს უმთაერესს კეანძს პიესას; იაპონელების პირებში კი სიყვარულს ყოველთვის მცირე ალაგი უჭირავს. ეს აიხსნება აღმოსავლეთის ჩეულების გაელენით, სადაც ქალი თითქმის დამონავებულია და ასრულებს მხოლოდ დედის და ცოლის მოვალეობას. აგრეთვე ძველი ჩეულებების ძალით ქალების როლების აღმასრულებლად იაპონიის სცენაზედ კაცები არიან. საყურადღებოა აგრეთვე იაპონელების ორკესტრი, რომელიც წარმოდგენის დროს იქერს ორთავე სცენის მხარეს და შესდგება „იოორორი-კოტრი“ დგან (მომღერალ-მემუსიკებიდგან) რომლებიც, როდესაც მამქმედი პირი დიდ-მღელვარებაშია და ჩეარის ნაბიჯით დადის სცენაზედ, დაიწყებენ მღერას და სხეა და სხეა საკრავების აყოლით და ლექსებით უხსნიან მაყურებლებს გმირის მწუხარების და განრისხების მიზე-ზებს“.

“მთელი ჩენი ლიტერატურა და ჩენი ტრაგედია იწყება გმირული სიმღერებით. ეს გმირული სიმღერები დაიწყო ჩენ ში ძლიერ დიდი ხნიდან და „კონაკუზ“-ების შემწეობათ გაერცელდნენ ქალაქებში და სოფლებში. წინანდელ დროში კონაკუზ“-ებს (ჩენი მესახანდრების მგზავრია) მიიწვევდნენ მთავრების სასახლეებში, სადაც ატყბობდნენ ხოლმე თავიანთი სიმღერებით მაღალ წოდების საზოგადოების სმენას. ეხლაც არიან მათი (კონაკუზების) ჩამომავალნი, რომლებიც დადიან სოფულიდგან სოფელში და მღერიან გმირულ სიმღერებს.

ხალხიც მათ პატივის ცემით იღებს და დიდის მოწიწებით ისმენს
მათ ფანტასტიურ გარდმოცემებს.

ბადრიძე.

ფიანგთა უფაფა ცხოვრებიდგან.

(ამხავი ჰერ გერლისა)

აქეთაც და იქითაც

(სცენები არ მოქმედებიან კომედიისათვის)

შირველი მოქმედება.

ოჯატრი წარმადგენს ქ-ნ ქ-ს ოთახს შვენიერს სახლებში.
ქ-ნი ქ ალისფერ ბანტებით მორთულ „ცისფერის პენიუარით“
იყრინა სარკეში დაკვირვებით, თოსქო ემზადებოდეს საშინელს
ბრძოლისათვის სიყვარულის ველზე. შემდეგ თავისუფლად მიწვება
ტახტზედ და ამოიღებს ჯიბიდგან წერილს.

წერილი, როელსაც ჩენ ქ-ნ ქ თოვლისავით სპეტაკის მხრე-
ბიდგან ცერიონ წავიკითხავთ, შეიცავს შემდეგს:

— მადლობას გიძლენი, საყვარელო ლუისი, რომ შეპა-
ტუობინე იმისი წასელა სენ-კანტონში, სადაც დაუხედება საო-
ჯახო საქმეები. ორი დღის დამოუკიდებლობა შენთვის — ე. ი.
ორი დღის სიყვარული ჩენთვის! ხეალ სალამოს თერთმეტს სა-
ათზედ, მე მოვალ ბალჩის კარებიდგან, რომლის გასაღებიც
შენ მომეცი. ეუადე მოსამსახურები მოიშორო სახლიდგან. შე-
ნი ალბერი.

წაკიცითხაეს რა წერილს ქ-ნი ქ შეპხედავს კედლის საათს;
ხუთი წუთი უკლია თერთმეტს. ერთხელ კიდევ ჩაიხედამს საჩ-
კეში, რომელიც ეუბნება: მშევრიერება ხარ! — და მოლოდინ-
შია... მ-ელოდება კიდევ ცოტა ხანსაც. ხუთი წუთის შემდეგ
ბალიდგან მოიამას ქეიშის ხრაჭუნი... შემდეგ ისმის ფეხის ხმა
ოთახის მახლობლად.

ეს ის არის.

— ჩემო მშევრიერო!

— ალბერ!

— მე შენ მიყვარხარ... .

- რასაც ჩეენა ესხადიგართ საშინელებაა!
 — გაჩუმდი!
 — გააა წემი ქმარი არ...
 — ნუ მელაპარაკები იმაზედ... შენ გიყვარეარ?
 — რას მეკითხებით, როდესაც თქვენ ჩემთანა ხართ!
 — როგორ, „თქვენ“?
 — თავისიდლეში ეერ მოვახერხებ თქვენ გითხრათ „შენ“...

ასე სინათლეზედ...

- მაშ გავაქროთ ლამპა...
 — არა... არა...
 — ის დღეს დილით წაეიღა?
 — დიალ...
 — შემომფიცე რომ ის შენ აღარ გიყვარის ამის შემდეგ...
 — განა თქვენ კიდევ იჭრეულობთ...
 — ანგელოზი!
 — თქვენ იჭრეულობთ — როდესაც მე ჩემს მოვალეობას
 ვივიწყებ...
 — არა! შენ მართალი ხარ, შენ არ გიყვარის, არ შეგი-
 ძლიან იმისი სიყვარული...
 — ჩემთა აღიბერ...
 — ჩემთა...

გაისმის ჭოტის ხმა... უცბათ მოისმის კარების კაჯუ-
 ნი და ეიღაცის მაღალი ხია.

— უბედურო!

ეს ქმარია — ეს ის არის, რომელსაც თავის დღეში არ
 მოელოდებიან და რომელსაც ვალდებული არიან ყოველთვი-
 სინ მოელოდებოდნენ ამ გვარს შემთხვევებში.

ის სდგას მრისხანე, გაჯარებული, რამდენჯერმე იმეორებს:
 უბედურო!

— ჰოლ! გევედრები! ეხევწება გონება დაუანტული ცოლი.
 — მე შემეძლ ა თქვენ მომეკალით, მოწყალეო ხელმწი-
 ფე, — ეუბნება ქმარი თავის ცოლის საყვარელს, — ამის ნებას
 თვით კანონი მასლეეს, მაკრამ მე იმათვანი არ გახლავართ,
 რომელნიც შეურაცხყოფით კმაყოფილდებიან. ხეალ დილით
 ჩემი შუა კაცები გნახავენ დუელზედ მოსალაპარაკებლათ.

ცოლის საყვარელმა რა თქმა უნდა არ იცის რა უთხჩას? — გადით აქედან.

ის გადის. რაც შეგეხებათ თქვენ ქალბატონო... (სიჩუმეა).

რაც შეგეხებათ თქვენ, ქალბატონო, მე თქვენ არ შეგარცვენთ და აგრეთვე თქვენთან ჩემს თავსაც, სულელურის და-ეიდარაბით: თქვენ დასტოვებთ ამ სახლს, შეგიძლიანთ იცხოვ-როთ... საღაც გნებათ თქვენის მზითეთ, რომელიც თქვენ დაგიბრუნდებათ, ჩემის ბრძანებით... ეინიცობაა, ხეალინდელი დღე თქვენ ქერიეათ დაგარჩენთ, მე ვეცლები შესაფერი გან-კარგულება მოვახდინო .. შეაღამის ხანს მსწრაფლ მატარებელი გადის, მოსამსახურე გაგაცილებთ რკინის გზის საღვურამდისინ.. ეხლავე... ჩაიცეით ტანაცმელი... ნულარ ჰყუყმობთ.

— პოლ!

— ჩქარა, მე თქვენა გოხოეთ.

მოქმედება მეორე.

ნახევარი წელიწადი გავიდა. ალბერტა და პოლს მოუხდათ დუღლი. პოლმა დასტურა სელში მოწინააღმდეგე. შიშობდნენ, სელის მოჭრა მოუწევათ, მაგრამ ალბერტი სრულებით გნოთ-გისუფლიბდა ჭრილობისაგან. რასაკვირველია, მაშნვე გაუშუა იმისაკენ, რომელიც დაღუპა. ისინი ეხლა ერთთა ცხოვრიბენ, როგორც ცოლქმარი.

უვალა ეს შემთხვევა, რომელიც ოქატრიში მოთხოვნის ადგილს დაიჭირს საჭიროა სანცენოთ განვმარტოთ.

მოქმედება სწარმოებს ერთს მიყრუებულს ქუჩაში. მზაო მოწყობილს გასაქირავებულს სასახლეში, აჩქარებულის სიარულით შე-ვიდა დედაკაცი ამ საიდუმლო სახლში. სჩანს-პირობა აქვთ მი-ცემული ერთმანეთის ნახვისა. ეს დედაკაცი ქ-ნი №-ია. მე აქ არ შევდივარ ვრცლად განხილვაში, მე მხოლოდ საბუთებს ვამბობ, მაგრამ, როგორც დაინახავთ, ეხლა პატარა ცვლილება მოხდება. მაგირ იმისა, რომ თავისთან მიიღოს, ის თითონ მიდის თავის ფეხით... არახუნებს კარებს, ალექს.

— ხომ არ დაიგეიინე?

— არა.

— ის დღეს ალარ წაეკიდა ბირჟაზედ.

— როგორ გვონია იმას გუმანი აქეს შენზედ!

— არა.

— შენ დარწმუნებული ხარ, რომ არა გზვერავდა აქეთ რომ მოსდიოდი?

— დარწმუნებული ეარ.
კოცნა... შემდეგ შემოისმის კარების კაյუნი და ხმა: „გა-
ძლეთ კარები. .

— ეს ხმა!?

— იმისი ხმა არის!

— მე ვარძიობდი, ჩომ იჭირეულობდა.

— მე ყოველივე ის ლონისძება ვიხმარე, რომელიც შენ
თითონ გითხარი.

— გაალეთ, ან ეხლავ დაუამზირებე კარებს!

— କା କିମ୍ବାଟ?

ეიღო შეკვარებულნი გარდასწყვეტაედნენ რა მოეხერხებინათ, კარები დაპირებდა ძლიერს მკლავს და ჩამოვარდა ანჯამებიდან.

— უბედურ!

ამ ხელად წყველა, რომელიც პირველად გაიგონა ქრისტიანულობის მეცნიერება.

— უმსგავსო ქმნილება, რომელსაც ჩემს ხიცოცხლესა
შეიძირავთ....

— თქვენ არ შეგშენით ჩემი საყველური, როდესაც
თქვენ თითონ დანთქმით ჩემი სიკურეტობა.

— ნუ თუ მართლა? რა იქმა უნდა, რომ საუკეთესო
დრო ამოგირჩევიათ, რომ... ოჲ, მეც რო მრწამდა ამ გვარ
ქმნილებათა სიყვარული!..

— მე კი რაღა! სადა მქონდა მაშინ გონიერა, როდესაც
თქვენისთანა ურჩმუნო, უხასიათო კალი გამჯობინე იმას, ვინც..

— გაჩუმდით!... თქვენ ამის შემდეგ... არაფერი ხართ...
გაჩუღა...

— მე თქვენ გიკრძალავთ ჩემს შეურაცხყოფას.

— მე თკვენ მიკრძალავთ?

— ୮୮୯୮...

— სად არის მერე თქვენი თანამგრძნობი! გულითა მაურის
მისი სახის ნახეა.

— აი, უყურეთ!

— አመግኝነት?

— ଲାଗିଲା!.. ନେବେ କଥା ହେଲା ମାନ୍ଦିପ ଏବଂ ମାର୍ଜିକୁ ଉପଲବ୍ଧ କିମ୍ବିଳ
ଫରିଲା ନାହିଁବିଶ, ତାହା କିମ୍ବିଳା ଏବଂ ସାବ୍ଦାମନ୍ଦିରକାର ମିମାର୍ଦିନା?..

6. გელის-ციხელი

କ୍ଷେତ୍ରଫଳର ଓ ପାଇଁ ମନ୍ଦିରର ଉଲ୍ଲଙ୍ଘନ କରିବାକୁ ଆପଣଙ୍କ ଅଧିକାର ହେଉଥିଲା.